საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მონაპირე

მონაპირე, საქართველოს ფეოდალური მონარქიის საზღვრისპირა ოლქის (სანაპიროს) გამგებელი ფეოდალი (ერისთავი ან ერისთავთერისთავი) XII ს. და XIII ს. I მესამედში. **მ.** თავისი ფუნქციებით შეესაბამება ფეოდ. დას. ევროპის მარკგრაფს და სასანიდური ირანის მარზპანს, ანუ საზღვრის მცველს. სანაპიროები შეიქმნა აღმ. საქართველოს თურქ-სელჩუკთაგან გათავისუფლების შემდეგ, დავით აღმაშენებლის დროს. მაშინ **მ.** მეფის მოხელე იყო, მის სრულ მორჩილებაში მყოფი ვასალი. მომდევნო ხანაში იგი თანდათან სანაპიროს მემკვიდრე პატრონად („მემამულე“) იქცა, რ-საც საკუთარი სუბვასალები ჰყავდა და ფაქტობრივად მეფის ყმადნაფიცი „ხელმწიფის“ როლში გამოდიოდა. **მ**-თა ინ-ტმა დიდი როლი შეასრულა საქართვ. სამხ. საქმის ორგანიზაციაში, ქვეყნის თავდაცვის სისტემაში. XII–XIII სს. მიჯნაზე არსებობდა შემდეგი სანაპიროები: ჰერეთის, კამბეჩოვნის, გაგის, ტაშირის, ძორაგეტის, თმოგვის, თორის, სამცხის (არტაანის), შავშეთ-სპერისა (ფანასკერტი) და ყარსის. დავით აღმაშენებელმა სანაპიროთა ნაწილში ჩაასახლა ჩრდ. კავკასიიდან გადმოყვანილი ყივჩაღები. **მ.** ვალდებული იყო თვალყური ედევნებინა მოსაზღვრე ქვეყნებისათვის და დაეცვა საზღვარი მტრის მოულოდნელი შემოსევებისაგან. იგი სამხ. დაცვით ოპერაციებს დამოუკიდებლად აწარმოებდა, შეტევითს კი – მხოლოდ მეფის განკარგულებით. **მ.** (და სანაპიროს მოსახლეობაც) გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა, რის გამოც ფეოდალები და რიგითი მოლაშქრენი „რომელნი შიგნით იყვნეს, იგინი სანაპიროთა იაჯდეს“. პრივილეგია „ალაფობის“ უფლებასაც გულისხმობდა. **მ**-ის მოვალეობა კარგადაა ნაჩვენები „ვეფხისტყაოსანში“. ავთანდილს, როგორც **მ**-ს, ევალება დაიცვას საზღვარი, ებრძოლოს მეფის ურჩ მეზობლებს, დროდადრო მეფეს ეახლოს, ხელმწიფეს ძღვენი მიართვას და ანგარიში ჩააბაროს. **მ**-თა ინ-ტი გაუქმდა მონღოლების ბატონობის დაწყებისთანავე.

ლიტ.: ა ნ თ ე ლ ა ვ ა ი., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI–XIII საუკუნეებში, თბ., 2002; ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966; ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 7, თბ., 1974; ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი ქ., უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.

ქ. ჩხატარაიშვილი